საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 10 ნოემბერი**

დისციპლინური საქმე №169/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- მიერ 2019 წლის 3 ოქტომბერს წარდგენილი №169 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლემ საქმე ზემდგომ ინსტანციის სასამართლოს გაუგზავნა ვადის დარღვევით.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2019 წლის 17 ივნისს -- -- სარჩელით მიმართა -- რაიონულ სასამართლოს, -- მინიციპალიტეტის მერიის მიმართ, კონკურსის შედეგების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

2019 წლის 18 ივნისის განჩინებით, -- -- სარჩელი განსახილველად გადაეცა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. მოსამართლე -- -- საქმე განსახილველად დაეწერა 2019 წლის 18 ივნისიდან. სარჩელი მიღებულ იქნა განსახილველად, ხოლო მოპასუხემ შესაგებელი წარადგინა 2019 წლის 25 ივლისს და დამატებით შესაგებელი კვლავ წარადგინა 2019 წლის 2 აგვისტოს.

2019 წლის 19 ივნისის განჩინებით -- -- შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, მას უარი ეთქვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების თაობაზე. განჩინება 2019 წლის 12 ივლისს გაასაჩივრა მოსარჩელემ.

ხარვეზის შევსების შედეგად საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული 2019 წლის 1 აგვისტოს. 2019 წლის 2 აგვისტოს განჩინებით -- -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საქმესთან დაკავშირებით დამატებითი დოკუმენტის გამოთხოვის შედეგად დადასტურდა, რომ საქმის მასალები -- რაიონული სასამართლოს კანცელარიას ზემდგომ ინსტანციაში გაგზავნის მიზნით გადაეცა 2019 წლის 7 ოქტომბერს, ხოლო 2019 წლის 8 ოქტომბერს გადაიგზავნა -- სააპელაციო სასამართლოში.

2019 წელს მოსამართლემ წარმოებაში არსებული 239 საქმიდან, დაასრულა 115 საქმე, საიდანაც ნაშთის სახით დარჩა 124 საქმე (48%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 10 დეკემბრის დასკვნა:

-- -- მიერ 2019 წლის 3 ოქტომბერს წარდგენილი №169 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“ (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია)

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში. ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, გასნაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა, უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (König v. Germany, §98).

გასახილველ შემთხვევაში, სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებზე საჩივარი წარმოებაში მიღებულ იქნა 2019 წლის 1 აგვისტოს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197[1] მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, „საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს მისი წარმოებაში მიღებიდან 20 დღეს“. ამდენად მოსამართლეს საჩივარზე არსებითად უნდა ემსჯელა 2019 წლის 21 აგვისტომდე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ დასაბუთებული განჩინება 2 აგვისტოს უნდა მომზადებული იყო, თუმცა საქმე სასამართლოს კანცელარიის სააპელაციო სასამართლოში გადაგზავნის მიზნით გადაეცა 2019 წლის 7 ოქტომბერს, 2 თვისა და 5

დღის დაგვიანებით, რაც არ წარმოადგენს ისეთ არაგონივრულ ვადას, რომელიც მოსამართლის მხრიდან დისციპლინურ გადაცდომად უნდა შეფასდეს.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლე -- -- „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომები. შესაბამისად, 2022 წლის 10 ნოემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 9 წევრთაგან 9 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №169/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი